ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 01-17/8

03/04/2017

8-02-4-201704031700

ქ.ქობულეთი

**მოქალაქე გურამ რუხაიას ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის**

**უფლებამოსილ ორგანოსთვის გადაგზავნასთან დაკავშირებით**

ქობულეთის მუნიციპალიტეტისს საკრებულოს თავმჯდომარის სახელზე ქობულეთი, დაბა ჩაქვი, ბეჟანიძის ქუჩა N7ა-ში მცხოვრები მოქალაქე გურამ რუხაიას ადმინისტრაციული საჩივარის განხილვის მიზნით, რომელიც შეეხებოდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2012 წლის 12 იანვრის N01-19/320 ,,დაბა ჩაქვი, ბეჟანიძის N11-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის (ამხანაგობა ,,ცისარტყელა"-ს) მიწის ნაკვეთის საზღვრების პროექტის შეთანხმების თაობაზე" ბათილად ცნობას, ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2017 წლის 10 მარტის №01-17/6 ბრძანებით დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება.

2017 წლის 30 მარტს გაიმართა ზეპირი მოსმენა (სხდომის ოქმი N1), სადაც ადმინისტრაციული წარმოების განმახორციელებელი პირები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ აღნიშნული საკითხი განსახილველად უნდა გადაეგზავნოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე და ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2017 წლის 30 მარტის გამართული ადმინისტრაციული წარმოების N1 საოქმო გადაწყვეტილების საფუძველზე **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1.მოქალაქე გურამ რუხაიას ადმინისტრაციული საჩივარი განსახილველად გადაეგზავნოს საჩივრის განმხილველ უფლებამოსილ ორგანოს-ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს.

2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატმა უზრუნველყოს ბრძანების შესაბამისი პირებისათვის გაცნობა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში ერთი თვის ვადაში (მისამართი: ქ.ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.N30).

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

სულხან ოქროპირიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმძღვანელობა